საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხარიტონაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 07/07-2021 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნინო ხარიტონაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნინო ხარიტონაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ნინო ხარიტონაშვილის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაფასებლად, წინამდებარე დასაბუთებაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. რა დროსაც, ვიხელმძღვანელე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებებითა და მახასიათებლებით. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კი მივიჩნიე, რომ ვინაიდან არ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს იგი თითოეული კომპონენტის მიხედვით უნდა შეფასდეს დადებითად. შესაბამისად, გავაკეთე დასკვნა, რომ ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25	ნინო ხარიტონაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლისა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცნობს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს. ამასთან, ეცნობა საერთო სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. იგი საჯარო მოსმენაზე ღიად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, კარგად განმარტავდა სამართლებრივი ნორმების შინაარსს და მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. თუმცა, რიგ შემთხვევაში კანდიდატის პასუხები არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25	კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად მუშაობს სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“. ამასთან, ნინო ხარიტონაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტი არის თანმიმდევრული და იგი უმეტესად კარგად არის დასაბუთებული. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ძირითადად იყო დამაჯერებელი.

[1] პუბლიკაცია: „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში“.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	ნინო ხარიტონაშვილი საჯარო მოსმენაზე საუბრობდა მშვიდად, გამართულად, ამასთან, ღიად და თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ შეხედულებებს. კანდიდატი მის მიერ მომზადებულ სამართლებრივ დოკუმენტში აზრს გადმოსცემს ნათლად, თანმიმდევრულად და გასაგებად.
პროფესიული თვისებები	15	15	კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილი შთაბეჭდილების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ იგი გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10	ნინო ხარიტონაშვილს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის მიზნით, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგში, სასწავლო კურსსა და კონფერენციაში.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არაერთ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები და მონოგრაფიები.
ქულათა ჯამი	91	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბერს N1/138 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის N1/214 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხარიტონაშვილი.		

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს ნინო ხარიტონაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნინო ხარიტონაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ნინო ხარიტონაშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურეობრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ნინო ხარიტონაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.

<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>

გამოკითხული რეკომენდატორები და კანდიდატთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები ნინო ხარიტონაშვილის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, პატიოსანი, გულწრფელი და მეგობრული. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება და იგი ჯეროვნად ასრულებს როგორც სამსახურებრივ, ისე ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს.

კერძოდ, იგი დროულად იხდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ.

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი

ნინო ხარიტონაშვილის დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და პრინციპული. ამასთან, საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას დატოვა პრინციპული და გაწონასწორებული პიროვნების შთაბეჭდილება. კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას რაც შეეხება, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხარიტონაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელი

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას, ზოგად თუ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ნინო ხარიტონაშვილი საკუთარ პოზიციას გამოხატავდა მშვიდად, თავდაჭერილად და გამოირჩეოდა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, რეკომენდატორები კანდიდატის დახასიათებისას აღნიშნავენ, რომ იგი არის კორექტული, გაწონასწორებული და გამოირჩევა პროფესიული ქცევის მაღალი სტანდარტით. აღსანიშნავია, რომ ნინო ხარიტონაშვილის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ მონაწილეობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ ნინო ხარიტონაშვილი მხარედ მონაწილეობდა შემდეგ საქმეებში: სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ, დავის საგანს წარმოადგენდა: მუდმივი შრომითი ურთიერთობის აღიარება, შრომითი ხელშეკრულების სიყალბის აღიარება, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ, დავის საგანი იყო: ბრძანების ბათილად ცნობა, ინფორმაციის გამოთხოვა,

	მაგრამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ, დავის საგანს წარმოადგენდა: სამსახურში აღდგენა, სახელფასო დავალიანებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ, დავის საგანი იყო: ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ, დავის საგანს წარმოადგენდა: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელი</u>* ნინო ხარიტონაშვილის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი სტუდენტებში, პროფესორ მასწავლებლებსა და სამეცნიერო წრეებში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია, მისი დამოუკიდებელი ინსპექტორის, უზენაესი სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ და სხვ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ ნინო ხარიტონაშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელი</u>* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ხარიტონაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია შპს „მიდვეი კაფეს“

25%-იანი წილის მესაკუთრედ. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ნინო ხარიტონაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების</u> <u>ცოდნის მახასიათებელი</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 30 ივნისს ნინო ხარიტონაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული და კორექტული. ნინო ხარიტონაშვილმა სხვადასხვა სამართლებრივ

[2] იხ. ნინო ხარიტონაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=3F2dgFFBIto

	საკითხებზე საუბრისას გამოავლინა აზრის თანმიმდევრულად და ლოგიკურად ფორმირების უნარი. მისი მსჯელობა უმეტესად იყო ცხადი და ნათელი. ამასთან, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მას ხშირად მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანდიდატს ზოგიერთ შეკითხვაზე გაუჭირდა სიღრმისეული და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის განვითარება. ამასთან, ნინო ხარიტონაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი იცნობს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს. აგრეთვე, ეცნობა საერთო სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატი კარგად ახდენდა სამართლებრივი ნორმების შინაარსისა და მიზნის განსაზღვრას. ამასთან, ნინო ხარიტონაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ მას გააჩნია პრობლემური საკითხების წარმოჩენისა და ანალიზის უნარი. *<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი</u>* კანდიდატის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 17 წელს, რაც მიუთითებს მის მაღალ პროფესიულ გამოცდილებაზე. იგი ამჟამად მუშაობს სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ - იურიდიული სამსახურის სპეციალისტად. ამასთან, ნინო ხარიტონაშვილის მიერ შესრულებულ სამართლებრივ დოკუმენტში მსჯელობა განვითარებულია თანმიმდევრულად და დასკვნა ჩამოყალიბებულია არგუმენტირებულად. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატი სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას საკუთარ პოზიციას ძირითადად გამოხატავდა დამაჯერებლად. აგრეთვე, გამოკითხული რეკომენდატორების მოსაზრებით, ნინო ხარიტონაშვილს გააჩნია კარგი სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია. *<u>წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი</u>*

	როგორც უკვე აღვნიშნე, ნინო ხარიტონაშვილმა საჯარო მოსმენაზე დატოვა გაწონასწორებული, მშვიდი და კორექტული პიროვნების შთაბეჭდილება. იგი ძირითადად მეტყველებდა გამართულად, დასმულ შეკითხვებს აღიქვამდა სწორად და საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავდა ნათლად და მკაფიოდ. ამასთან, გამოირჩეოდა სხვისი აზრის მოთმინების მოსმენის უნარით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის გაანალიზების შედეგად კი მიმაჩნია, რომ იგი ჩამოყალიბებულია გასაგები ენით, მსჯელობა არის თანმიმდევრული, არგუმენტირებული და ადვილად აღქმადი. მიმაჩნია, რომ ნინო ხარიტონაშვილს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, მისი გაანალიზება და ლოგიკური დასკვნების გამოტანა. ამასთან, შესწავლილ დოკუმენტში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს გამოკითხული რეკომენდატორებიც აფასებენ დადებითად. *<u>პროფესიული თვისებების მახასიათებელი</u>* ნინო ხარიტონაშვილის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მახასიათებლები</u>* კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. იგი არაერთ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის სსიპ „ნოტარიუსთა პალატის“ სასწავლო ცენტრის მოწვეული ლექტორი. ამასთან, კანდიდატი წარმოადგენს სხვადასხვა სტატიისა და მონოგრაფიის ავტორს. ნინო ხარიტონაშვილს აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი და 2015 წლიდან არის ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ინდივიდუალური წევრი. აღსანიშნავია, რომ იგი წარმოადგენდა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ - კლინიკის პროექტის, მონაწილეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth Centre of Civil Education”,

	პროექტის „Street Law" - ტრენერს, პროექტი „მიტარბი 360-ის" ფარგლებში მოწვეულ ლექტორს, „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების" პროექტის, კლიენტთა კონსულტირების ტრენინგის ტრენერს, საერთაშორისო ორგანიზაცია „Save the Children" მოწვეულ ლექტორს და სხვ. უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატს 2004 წელს მიღებული აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ლადო ჭანტურიას) მადლობა მოსამართლეთა კონფერენციის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის, 2012 წელს მან სს „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორისგან (ვახტანგ ბუცხრიკიძისგან) მიიღო მადლობა აუდიტორული შემოწმების შედეგად მიღებული უმაღლესი შეფასებისათვის და 2016 წელს სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატის" თავმჯდომარისგან დაიმსახურა მადლობა პირად საქმეში შეტანით. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 91 ქულა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 07/07-2021 წელი